

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 591191525

N 259
22/06/2018

259-07-3-201806221528



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №9- 4 (ოთხი) ფურცელი

დასკვნა №9- 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №9

ქ.ლანჩხუთი

21.06. 2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიციანიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, ზაალ სანაძე, თორნიკე ტიკაძე.

მოწვეული: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი დავით წულაძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მიხეილ სადრუფიანიცი, მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე, გურიის სატყეო-სააგენტოს წარმომადგენელი ბეგი ცინცაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: ზურაბ კუკულავა, ირაკლი მარშანიშვილი, ოთარ პატიეშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1...ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადრდებლო ცენტრი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2...ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3...ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4...ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

5.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები, კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.11.45.083), მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.01.42.015), ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.14.48.020), ნინოშილის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.12.41.004), ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.13.42.001) და აგანის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.02.44.233), სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. შესაბამისად აღნიშნული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მოზანშეწონილი, ვინაიდან აიპის ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის დავით წერეთელის 2018 წლის 23 აპრილის №74 მომართვის საფუძველზე მოაშუადა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე 1128კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 412.1კვ.მ შენობა-ნაგებობა-კულტურის სახლი (ს/კ 27.15.52.012)) პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ამხანაგობა „2016“-ის (ს/კ 233734386), წევრმა თამარ ჯიჯიშვილიმა, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აკეთში მდებარე 54კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 34.2 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.44.309)) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა ასევე თანდართულ დოკუმენტად წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება (14.06.2016წ, №3103626), ამხანაგობის ერთ-ერთ წევრ გოჩა ღლონტსა და სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროექტ „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებს შორის, რომლითაც ამხანაგობას მიღებული აქვს თანადაფინანსება 9900 (ცხრა ათას ცხრაასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის ქონება (აუქციონის გარეშე) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ამხანაგობა „2016“-ს, რომელიც თანადაფინანსებით აპირებს პურის საცხობის მოწყობას და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება შენობა-ნაგებობა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2015 წლის 30 ივნისის #28 დადგენილებით, დამტკიცებული აქვს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვებულზე გასაცემი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმა, რომელსაც მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის სახელით ხელს აწერს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ბოლო წლებია მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვას უმეტესწილად ელექტრონული აუქციონის ფორმით ახორციელებს. მისი განმარტებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიაჩნია, რომ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმა, უნდა დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტის სახით, რომელსაც ხელს მოაწერს აუქციონატორი-(მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი/წარმომადგენელი).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:


დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ მწვანე ნარგავებისა და შინაურ ცხოველებზე საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებებში უნდა შევიდეს ცვლილებები. ძირითადად შესაცვლელია მათი დებულებები, რათა კანონის ფარგლებში მოხდეს მკვეთრი ხეების მოჭრა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საცხოვრებელ სახლებს, ადამიანებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, სასაფლაოებს, სკვერებს, სხვა ჯანსაღ ხე-მცენარეებს და ა.შ. ასევე აუცილებელია ხეების გადახევა, რომლებიც იგივე საფრთხის შემცველია. წესში გაწერილი უნდა იქნას იმ ხეთა ჯიშების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარება გადახევას. ასევე იმ ხეთა ჯიშების ჩამონათვალი, რომელთა გაშენებაც უნდა მოხდეს მოჭრილი ხეების ადგილას. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოფს ტერიტორია, სადაც მოხდება მოჭრილი, უკანონოდ მოპოვებული (ჩამორთმეული) ხეების დასაწყობება. იურიდიულად უნდა იქნას გამართული მოჭრილი საშეშე-სამასალე ხეების გაცემის წესი.

რაც შეეხება შინაურ ცხოველებს ხშირია შემთხვევები, როდესაც უპატრონოდ მიტოვებული პირუტყვი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში შედიან და ანადგურებენ ხე მცენარეებს, ანაგვიანებენ ტერიტორიას. ამიტომ აუცილებელია მოეწყოს ეგრეთწოდებული ჩიხი მოთარეშე პირუტყვის დროებით იზოლაციისათვის. ამასთან დაკავებულ პირუტყვის მესაკუთრეს დაეკისროს ჯარიმის გადახდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილების საფუძველზე. აღნიშნული პროექტების შემუშავების პროცესში კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება წვერების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები. ასევე მოხდება კონსულტაციის გავლა შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად, რაც მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე:  გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №9

21.06.2018 წელი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.









დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

 გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
 ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
 ფურცელი

21.06. 2018 წელი
 11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10 ⁴⁵	
2	ზაზა წულაძე	11 ⁰⁰	
3	კარლო კვიციანიშვილი	10 ⁵⁵	
4	ალექსანდრე მახათაძე	10 ⁵⁵	
5	ზაალ სანაძე	11 ⁰⁰	
6	თორნიკე ტიკაძე	11 ⁰⁰	
7	ოთარ პატიეშვილი		
8	ზურაბ კუკულავა		
9	ირაკლი მარშანიშვილი		